ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# სასწავლო პლატფორმა Moodle

## სტუდენტის სახელმძღვანელო

# E- learning.tsu.ge

1. **სისტემაში რეგისტრაცია:**

   ვებ-გვერდზე შესასვლელად ეწვიეთ ბმულს e-learning.tsu.ge ან lms.tsu.ge - ზე დააწექით ღილაკს „Moodle“.

   სარეგისტრაციო ველი განთავსებულია გვერდის მარჯვენა ზედა კუთხეში.




გააქტიურეთ ღილაკი - „შექმენით ახალი ანგარიში“.




შეავსეთ ახალი ანგარიშის ფორმა თქვენი მონაცემებით (აუცილებლია მიუთითოთ თსუ-ს აქტიური ელექტრონული ფოსტა).

შეინახეთ შევსებული ინფორმაცია ღილაკით - „შექმენით ჩემი ახალი ანგარიში“.




რეგისტრაციისას მითითებულ ელ-ფოსტაზე მიიღებთ შეტყობინებას პლატფორმაზე გაწევრიანების დადასტურების შესახებ (გაითვალისწინეთ, რომ წერილი შეიძლება სპამში მოხვდეს და თუ წერილი არ გამოჩნდება inbox-ში შეამოწმეთ სპამი).

მას შემდეგ რაც შეხვალთ სისტემაში მიყევით ფოტოზე მოცემულ ინსტრუქციას

კურსის ძებნა გარდა ქვემოთ ნაჩვენები მეთოდისა, რომელიც 3 ნაბიჯისგან შედგება,

შესაძლებელია ძებნის ველში კურსის დასახელების ჩაწერით ან პედაგოგის გვარით.




კურსის არჩევის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება შემდეგი გამოსახულება

Enrolment key-არის სიმბოლოების კომბინაცია („პაროლი"), რომელიც უნდა მოგაწოდოთ პედაგოგმა, რათა მოახერხოთ მსგავს კურსზე გაწევრიანება.

შენიშვნა: ყველა კურსს არ აქვს Enrolment key და შესაბამისად მხოლოდ „Enrol me" ღილაკით ხდება გაწევრიანება კურსზე



თქვენი არ არჩეული კურსები გამოჩნდება ეკრანის მარჯვენა მხარეს, როგორც ეს მოცემულია ფოტოზე

